

## Languages and Popular Culture

### Georgian transcript:

თუ შეგიძლია მომიყვე საქართველოში ძირითადად ხალხი რა ენაზე ლაპარაკობს და მთავარი ენის გარდა კიდევ თუ ლაპარაკობენ სხვა ენაზე ზოგადად.

საქართველოში ოფიციალური ენა არის ქართული. თავისი დამწერლობიანად და ასევე უფრო უფროსი თაობა ლაპარაკობს რუსულად იმიტომ რომ ჩვენ ვიყავით საბჭოთა კავშირის წევრები და ძალიან გავრცელებული ენა იყო რუსული, მაგრამ ამ ბოლო დროს ახალი თაობა იმდენად რუსულად აღარ ლაპარაკობს რამდენადაც ინგლისურად. ასევე ძალიან ბევრი სწავლობს გერმანულს, ფრანგულს და ესპანურსაც თუ არ ვცდები.

და შენ... უკაცრავად.

მაგრამ უფრო ინგლისური და რუსული.

და შენ რა ენებზე საუბრობ?

მე, ქართული, რუსული, ინგლისური და გერმანული.

და საქართველოში ვთქვათ ნორმალურია, რომ ადამიანი ლაპარაკობდეს ოთხ ენაზე თუ ეს გამორჩეული...

არა, გამორჩეული არ არის, მინიმუმ ორი, მინიმუმ სამი ენა ყველამ იცის ასე თუ ისე. ბოლოს და ბოლოს ფილმებიდან მაინც, იმიტომ რომ ხშირად ფილმებს ვერ ვთარგმნით. ჩვენ ყველა ფილმს რაც გამოდის, თუ კინოთეატრში არ გავიდა უფრო რუსულად აჩვენებენ ან ინგლისურად, ამიტომ როგორც წესი ახალგაზრდობა ფილმებიდან მაინც სწავლობს ამ ენას.

უცხოური ფილმების გარდა, უცხოურ კულტურასთან სხვა რა შეხება გაქვთ?

უმეტესად ვუსმენთ უცხოურ მუსიკას, იმიტომ რომ ქართული ესტრადა არც ისე პოპულარულია. და ვუსმენთ უმეტესად ამერიკულ ან რუსულ ესტრადასაც ვუსმენთ. კიდევ ძალიან პოპულარულია იურმალას ფესტივალი, სადაც ქართველი მომღერლებიც მონაწილეობენ და ნუ მოკლედ ძალიან ის არის, მნიშვნელოვანი არის ხოლმე ჩვენთვის და ყოველთვის ვუყურებთ და ვგულშემატკივრობთ ქართველ წარმომადგენლებს. კიდევ, ევროვიზიის ფესტივალსაც ვუყურებთ, სადაც ევროპის ქვეყნები და ნუ საქართველოც მათ შორის მონაწილეობს. და ნუ უმეტესად ძალიან

დიდი უმეტესობა უსმენს ამერიკულ რექს და რაღაც ნაწილი უსმენს როკს ან ჯაზს ან რაღაც სხვა და სხვა მიმდინარეობებს.

შენ რა ტიპის მუსიკა გიყვარს და ვთქვათ, შენ პირადად გირჩევნია უცხოური მუსიკა, ამერიკული მუსიკა, თუ მაინც ქართულსაც უსმენ ხოლმე?

ქართულ პოპ მუსიკას არ ვუსმენ საერთოდ. ძველი, უფრო ხალხური მუსიკა მომწონს, მაგრამ ყოველდღიურად მაინც ვერ ვუსმენ, განწყობაზე უნდა ვიყო. ან ვთქვათ ძალიან კარგია ქართული მუსიკის მოსმენა, როცა უსმენ ლაივში, ანუ როცა ვთქვათ სუფრასთან ზიხარ. ძალიან ხშირად, როცა ქართული სუფრა იმართება, იქ მამაკაცები როგორც წესი იწყებენ ხოლმე მრავალხმიან სიმღერას. ან ვთქვათ როცა ჩვენ ვიკრიბებით ხოლმე მეგობრები, ვთქვათ დასასვენებლად რომ ვართ ზაფხულში, ძალიან ხშირად ღამე კოცონს ვანთებთ და კოცონის გარშემო ვსხდებით და რომელიმე, ვისაც შეუძლია გიტარაზე დაკვრა, ის გიტარაზე უკრავს და ნუ ვმღერით ან ყველა ერთად ან რომელიმე, ვისაც შეუძლია. და ქართულ მუსიკას როგორც წესი ესეთ პირობებში ვუსმენ. და ისე ზოგადად ვუსმენ კლასიკურ როკს და თანამედროვე მუსიკას, ანუ თანამედროვეს დიდად არც როკს არ ვუსმენ და არც პოპს და არც რექს. უმეტესად უფრო ძველ მუსიკას ვუსმენ, ჯაზიც მომწონს და როკიც.

ძალიან კარგი. და შენ თქვი რომ განსაკუთრებულ განწყობაზე უნდა ვიყო რომ ქართულ ხალხურ სიმღერებს მოვუსმინო და ამ განსაკუთრებულ განწყობაში რა იგულისხმება?

ეხლა ამერიკაში რომ ჩამოვედი და აქ რომ ვცხოვრობ, უფრო ნოსტალგიური განწყობა იგულისხმება.

### **English translation:**

**I:** Could you tell me what languages people usually speak in Georgia, and whether people generally speak other languages in addition to their primary language?

**R:** The official language in Georgia is Georgian, which has its own alphabet. Older generations also speak Russian, because we were in the Soviet Union and Russian was the official language in Georgia. But recently new generations don't speak Russian as well as they speak English. Also, many people study German, French, and Spanish too, I think.

**I:** And you... excuse me.

**R:** But more people speak English and Russian as their second and third languages.

**I:** And what languages do you speak?

**R:** I speak Georgian, Russian, English, and German.

**I:** Is it normal for someone in Georgia to speak four languages?

**R:** It's not that special. People know at least three languages, at least from movies, because we can't translate many movies into Georgian. Unless movies are shown in movie theatres<sup>1</sup>, we have to watch them in Russian or English. So, the youth usually learn the two languages from movies.

**I:** Besides foreign movies, how else do you interact with other cultures?

**R:** We usually listen to foreign music, because Georgian singers are not so popular. We mainly listen to American and Russian music. The Jurmala Festival is very famous in Georgia. Georgians also participate and it's very important for us. We always watch it on TV and support Georgian representatives. We also watch the Eurovision Festival – almost [all] European countries participate in it; Georgia does too. Most of the time, a vast majority listens to American rap and some people listen to rock or jazz or something else.

**I:** What kind of music do you like, and do you personally prefer foreign, American music, or do you usually listen to Georgian music?

**R:** I never listen to Georgian pop music. I prefer older folk music, but I can't really listen to it every day; I have to be in the mood for it. Georgian music is amazing when you're listening to it live; so when you're at a *sufra*<sup>2</sup>, oftentimes the men start singing polyphonically. Or for example, when I'm on holiday with my friends in the summer, very often, we light a fire in the evening and sit around the fire. Whoever can play the guitar plays the guitar, and we sing either together or separately - if you can really sing. Usually, I listen to Georgian music when we're in these situations. Generally, I listen to classic rock and modern music. Actually, I don't really listen to modern rock or pop or rap music. I mostly listen to older music. I like both jazz and rock.

---

<sup>1</sup> When movies are screened in movie theaters, they are translated into Georgian. Georgian TV channels have also started translating movies into Georgian, but the majority of films are still only available in English or in Russian.

<sup>2</sup> The direct translation for სუფრა is a "feast"; however, the word "feast" does not convey everything for which *sufra* stands. *Sufra* connotes having guests over for dinner (not just family members), drinking alcohol and having a toastmaster who proposes different toasts. The toast sequence is generally pretty standard, but it can also be determined by the toastmaster's personal preferences, the occasion, the guests at the *sufra*, and other circumstances. Moreover, *sufra* usually has a rich food selection. This doesn't necessarily mean an expensive meal or a specific variety of food, it just means that if a family is having a *sufra* rather than an ordinary dinner, they will bring out the best of what they have – it could be just bread and cheese, or they could slaughter a chicken or a cow to offer it to their guests.

Usually, the toastmaster assigns a *merikife*, who is in charge of pouring wine (or other alcoholic beverages). If it's a large *sufra*, the toastmaster assigns several *merikifes*. The toastmaster and *merikifes* are always men. Women are usually in charge of setting the table, preparing the food, and changing people's plates when they get messy (even in Georgian restaurants, it is very common to get a clean plate several times throughout one meal). All special occasions are celebrated with a *sufra*, but people also put on a *sufra* for special guests, relatives that they haven't seen in a long time, to celebrate academic or career achievements, etc.

**I:** Very good. Regarding listening to Georgian music, you said you have to be in the mood for it. What did you mean by that?

**R:** Now that I am in America and I live here... I mean the nostalgic mood.

**About CultureTalk:** CultureTalk is produced by the Five College Center for the Study of World Languages and housed on the LangMedia Website. The project provides students of language and culture with samples of people talking about their lives in the languages they use every day. The participants in CultureTalk interviews and discussions are of many different ages and walks of life. They are free to express themselves as they wish. The ideas and opinions presented here are those of the participants. Inclusion in CultureTalk does not represent endorsement of these ideas or opinions by the Five College Center for the Study of World Languages, Five Colleges, Incorporated, or any of its member institutions: Amherst College, Hampshire College, Mount Holyoke College, Smith College and the University of Massachusetts at Amherst.

